


## ფედერაცია საზინას ივსებს

„ტელესპორტთან“  
კონტრაქტი უკვე დაიდო,  
„კოკა-კოლა“, „მერსედესი“,  
„ყაზბეგი“, „ქართუ“  
და სხვანი რიგში დგანან


## მონაკო ღარიბდება

43 წლის  
ჟან ტიგანამ  
„მონაკოს“  
მთავარი  
მწვრთნელის  
თანამდებობა  
დატოვა



## ჯორჯანი მიღის!

მუნის გავარდნა  
ლოკაუტის  
დასრულებისთანავე



## ზაგა თუ არა ნბა-ში ვლადიმერ სტიფანია



ლიუბლიანის  
„ოლიმპია“ მის  
სანაცვლოდ  
„სიეტლ  
სუპერსონიქსს“  
ნახევარ მილიონ  
დოლარს სთხოვს

## ახალი გერმანელი

რაინერ  
შუტლერი,  
რომელმაც  
გორან  
ივანიშვილი  
დაამარცხა



# იოჰან კრუიფი საუკუნის მეუღე

იოჰან კრუიფი,  
ჰოლანდიური  
ფეხბურთის  
ლეგენდა, საუკუნის  
უძლიერეს ევროპელ  
მოთამაშედ აღიარეს.  
„აიაქსის“ ყოფილმა  
ვარსკვლავმა  
რეფერენდუმის  
შედეგების მიხედვით  
ჩამოიტოვა  
გერმანელი ფრანც  
ბეკენბაუერი,  
ესპანეთში  
მოღვაწეობით  
განთქმული,  
წარმოშობით  
არგენტინელი  
ალფრედო დი  
სტეფანო და „ბებური  
კონტინენტის“ სხვა  
ბრწყინვალე  
ფეხბურთელები.



საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელები:  
იოჰან კრუიფი (მარჯვნივ) და ფრანც ბეკენბაუერი



ლეგენდარულ პელეს 1965 წელს მოსკოვში  
ქართველი გიორგი სიჭინავა მეურვეობდა

გამოკითხვა, რომელმაც უძლიერესთა შორის  
უძლიერესნი დაასახელა, საფეხბურთო ისტორიისა  
და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ  
ჩაატარა. მასში მონაწილეობა ჟურნალისტებმა  
და ექსპერტებმა მიიღეს. გამარჯვებულმა,  
იოჰან კრუიფმა 753 ქულა მოაგროვა, ფრანც  
ბეკენბაუერმა 709, ხოლო ალფრედო დი სტიფანომ  
708.

შემდეგ მოდიან:

4	ფირანც პუშკაპი	667
5	მიხაელ პლატინი	505
6	ეუსეპიო	370
7	ბოზი ჩარლტონი	303
8	სტივნი მითიუზი	282
9	ბარდ მიულარი	249
10	მარკო ვან ბასტანი	240

სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელად  
დაასახელეს ბრაზილიელი პელე.  
აფრიკის უძლიერესის ტიტული „მილანის“  
თავდამსხმელმა, ლიბერიელმა შორს ვეა  
მოიპოვა.  
აზიის ლეგენდარული ფეხბურთელის ჯილდო  
კორეელ ბუმ კუნ ჩას ზედა.  
ოკეანის საუკეთესო მოთამაშედ ახალ ზე-  
ლანდიელი ვინტონ რუშმარი აღიარეს.  
კონკაკაფის ზონაში ყველას მექსიკელმა უგო  
სანჩესმა აჯობა.

საპროსპექტი არქივიდან



















რა გაბვიხდა ეს ქიბორი კანო?!

ოლიმპიადასა და მსოფლიოს ჩემპიონატს თუ არ ჩავთვლით, ძიულ-ისტისთვის ყველაზე ძნელად მოსაგები შეჯიბრება ძიგორო კანოს სახელობის საერთაშორისო ტურნირია, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება ტოკიოში. ძიგორო კანო, მოგვხსენებთ, ის კაცია, ვინც ძიულ მოიგონა, პოდა, მისი სახელობის ტურნირი რომ ძლიერი იქნება, რა დიდი მტკიცება უნდა.


ღმრთა ავალიზილი

ბორჯღალოსნებმა მარცხით დაიწყეს, არმიელაბმა - ბრინჯაოს მედლით

შობის დღეებში საქართველოს მორაგბეთა ნაკრები უელსს გაემგზავრა ამ ქვეყნის თასის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად. თასს ერთმანეთს შეეცილება 16 გუნდი, რომელთაგან რვა ადგილობრივია. ეს თექვსმეტეული ორ ჯგუფად არის გაყოფილი. „ბორჯღალოსნები“ A ჯგუფში ასპარეზობენ უელსურ „პონტიპრიდთან“, „ნისთან“, „აბერავეონთან“, „ქერფილთან“, სამხრეთი აფრიკის ნატალის პროვინციის მეორე ნაკრებთან, შოტლანდიის ედინბურგის პროვინციისა და კანადის ეროვნულ გუნდებთან ერთად.

გაბატა თოტაძე

გზა დავულოცოთ „ოლიმპიელს“



„საჩუქარი“ მიიღეს საქართველოს სპორტის მოყვარულებმა — გამოვიდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ჟურნალი „ოლიმპიელი“-ს პირველი ნომერი. ჟურნალის მიზნებსა და ამოცანებზე საუბრისას სარდაქციო საბჭოს თავმჯდომარე ემზარ ზენაიშვილი შესავალი წერილში წერს: „მსოფლიოს ოლიმპიური ოჯახის მრავალრიცხოვან გამოცემებს კიდევ ერთი სპორტული ჟურნალი შეემატა. გახეი „ოლიმპიელი“, რომელიც მრავალი წელი ღირსეულად ასრულებდა დამოუკიდებელ საქართველოში ოლიმპიური მემკვიდრის როლს, ამერიკიდან ცვლის იმავე სახელწოდების ორენოვანი ჟურნალი.

ჩვენი ქვეყნის ოლიმპიზმისა და საერთოდ სპორტის ისტორია, მისი დღევანდელი მდგომარეობა; ჟურნალი ეცდება სრულად წარმოაჩინოს ჩვენი თანამემამულეების როლი როგორც ფიზიკური, ისე ინტელექტუალური პოტენციალი... ტრადიციები კი სპორტში მართლაც რომ მდიდარი გვაქვს!

სარგბიელი სპორტული ლაბარია "CROCO"

Table with 4 columns: Name, Weight, and three performance metrics. Rows include various athletes like იუვენტუსი, მსკანეთის თასი, სევილია, ბენიდორმი, სპორტინგი, ოსასუნა, ბადახოსი, ლევანტე, ინგლისის თასი, ფულემი, ლიდსი, სუონსი, ბელზიის ჩემპიონატი, სტანდარდი, ჰოკეი. NHL, ბუფალო, რენჯერსი, ვაშინგტონი, ფლორიდა, ფინიქსი, ანაჰაიმი, სან ხოსე, ოტავა, კაროლინა, დეტროიტი, ვანკუვერი, ლოს ანჯელესი.






ეს ფოტო მოხდენილად გადაუღია ავსტრიელ ფოტოგრაფ მიკელ ლუკელს. სატრამპლინო ვარჯიშობის დროს იტალიელი მასიმო ვილარი იმეგარად აფრინდა, რომ ფოტოგრაფს დაეხმარა ქალაქის თავზე მიმქროლავი კაცი ეჩვენებინა მსოფლიოსთვის.

REUTERS ინტერნულიდან

# ტაისონის 400 რაუნდი

სულ სამი დღე რჩება მაიკ ტაისონის მორიგ საბრძოლო დაბრუნებამდე. შაბათამ, ლას ვეგასის „ემჯიემ გრენდის“ არენაზე რკინის მაიკი სამხრეთაფრიკელ სექლუას, ფრანსუა ბოტას უნდა შეერკინოს. მაიკი „ემჯიემ გრენდის“ სავარჯიშო დარბაზში ოფლს ღვრის და საკრივო მედიას გულღიად და კარგახსნილი ხედება. ჟურნალისტთა წინაშე ვარჯიშობა მოკრივეთა ძველი ადათია და ტაისონიც არ მალავს თავისი მზადყოფნის ამბავს.



ეროვნული ბიბლიოთეკა


მაიკს ერთ-ერთი მწვრთნელი, სტივის მაკკინლი (ქვედა ფოტოზე მარჯვნივ) ავარჯიშებს. ტაისონის მთელი ბანაკი და მისი ახალი მამობილი, გაქნილი ვექილი შელი ფინკელი ერთხმად აცხადებენ, რომ ბოლოსდაბოლოს, ხალხი იხილავს ძველ, ნამდვილ, ფოლადის და არა ალუმინის მაიკ ტაისონს.

თავად მაიკი კი უკვე 32 წლისა მოყრილა და თუკი ხმას იღებს, ბოტას გამასხრებას ცდილობს. საერთოდ, ბოტა განთქმული გვარია სამხრეთ აფრიკაში და ამ ქვეყანას ბევრად უფრო განთქმული და ჭკვიანი ბოტები ჰყოლია, ვიდრე ფრანსუა გახლავთ.

წესით, ტაისონი მომგებიანია. მისი ახალი მწვრთნელი ტომი ბრუქსი ამბობს, რომ ბოტას წინააღმდეგ საბრძოლველად მაიკი მხეცურად მოემზადა და ლამის ოთხასი რაუნდი სპარინგი გასწავს. ასეც იქნება. სად, სად და ტოტალიზატორებში კი კარგად იციან ტაისონის ამბავი. ფსონი 7:1-ზეა, მაიკის სასარგებლოდ.



REUTERS ლან ვანბანიდან



ტოკიოს მეიჯი შრინის დარბაზში სუთის გოლიათთა საახალწლო შემოსვლა გაიმართა. საახალწლო შემოსვლა უბრალო რამ არ არის. — ამ რიტუალს „დეზუირი“ ჰქვია. ფოტოზე აღბეჭდილია დიდი ჩემპიონი ტაკანოჰანა, რომელიც სწორედ „დეზუირის“ ახორციელებს. თუმცა, „დეზუირის“ „ტაჩიშინი“ ვარაუდით ვერ განახორციელებს. „ტაჩიშინი“ ხმლის დამცემს ჰქვია, რომელსაც იქვე მოურთხავს ფეხი. თავის მხრივ, „ტაჩიშინიც“ არ არის უბრალო კაცი — ისიც განთქმული გოლიათი ტაკატორიკაა.

წყალქვეშა სამოსში გამოწყობილი ეს კაცი უჯ ივ კუსტო როდია, არამედ ფეხბურთელი. „ბარსას“ ბობოქარი ნახევარმცველი ლუის ენრიკე მარტინესი შობის წინა დღეს ბარსელონას აგვარიუმს ეწვია და იქ მთვლელებს ვეშაბებს ძღვენი — მარმელადი და თევზეული მიართვა. ეს იყო აქცია დევიზით — „წყლისქვეშეთის მშვიდობა იხსნის მიწას“.



REUTERS ბარსელონადან

გასწი-გამოსნი და ბასკეთი მაინც ესპანეთია! ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი ამ მობას ბილბაოს ეწვია და იქაური საფეხბურთო კლუბის „ატლეტიკის“ განთქმულ მოღვაწეთ დანიელ რუისსა და ბასკობაზე გაქაჩულ ფრანგ მწვრთნელს ლუის ფერნანდესს შეხვდა.

ბასკთა საჩუქარმაც არ დაიგვიანა, მათ „ატლეტიკის“ სამოსი გადასცეს მეფეს. ოლონდ მასხურს ზურგზე „ხუან კარლოსი“ არ ანერია, არამედ „ხუან ფელიპე ფლორინი“. ასეთია სრული სახელი პატარა უფლისწულისა, რომელიც მეფე ხუან კარლოსს შვილიშვილად ერგება, ესპანეთს კი ტახტის მემკვიდრედ. ბასკეთს მომავალშიც დაიფარავს ბურბონთა გვირგვინი. ტერორისტების აზრი კი ამ საკითხზე, ცნობილია.

„ატლეტიკის“ ჯერსის კი ამიერიდან ბურბონებიც მოირგებენ.



REUTERS ბილბაოდან

**სარბიელი**  
საორტული გაზეტი  
გამოიცემა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის სამშაბათს,  
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,  
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შონიძე  
დირექტორი გიორგი ოძრეშვილი  
რედაქტორი თამაზ მიხრიალი  
მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი  
ასპირანტი ბურასაშვილი  
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი მახტან ბუნიკაძე  
ტექნიკური რედაქტორი ზურაბ ხელაშვილი  
კალათბურთის განყოფილების გამგე მირაბ რატიშვილი  
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კორტრაპიშვილი  
ფეხბურთის რედაქცია, ქართული ფეხბურთის განყოფილება  
კონსტანტინე ვოვიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი  
ვაშაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტა-

ლიანი, ზვიან სანიკიძე უცხოური ფეხბურთის განყოფილება ლამა  
ვოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯავაძე  
კალათბურთის განყოფილება გიორგი ახვლედიანი, გიორგი  
ბიკაშვილი, გაიონ თალაკვაძე ინფორმაციის განყოფილება  
ირაკლი თავაძე, პაატა თითაძე, ავთანდილ სვანიძე, კორესპო-  
ნდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ  
დოღონაშვილი, ბადრი კუთილაძე სტილისტები მაია აბიანიძე,  
ნათელა გორგობანი კომპიუტერული ცენტრი ელენე გულუტა-  
შვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე ტრისტან  
კახურაშვილი, ნინო კვდელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარ-  
ტიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შილაშვილი, გიორგი  
ხარატიშვილი, ბელა ხატაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი,  
ალექსანდრე ყაზბაგის  
გამაზირი 42, II კორპუსი,  
IV სართული.  
საფოსტო მისამართი:  
თბილისი — 79,  
საფოსტო ყუთი 208.  
ტელეფონი: 39 48 29